

Öffentlichkeitsgrundsatz

Der Öffentlichkeitsgrundsatz ist im **georgischen Strafprozessrecht** eine Prozessmaxime. Eine Gerichtsverhandlung muss in öffentlicher Sitzung behandelt und die Gerichtsentscheidung öffentlich bekannt gegeben werden (Art. 62, Abs. 3 der georgischen Verfassung, Art. 10 Abs. 1 gStPO, Art. 13 Abs. 1 und 3 des Organgesetzes über die Allgemeinen Gerichte). Nach Art. 13¹ des Organgesetzes über die Allgemeinen Gerichte ist die Übertragung einer Gerichtsverhandlung durch Massenmedien zulässig. Außerdem hat jede im Verhandlungssaal anwesende Person das Recht, von einem seitens des Gerichts zugewiesenen Platz eine Audioaufzeichnung der Gerichtsverhandlung durchzuführen. Unter besonderen Umständen kann die Öffentlichkeit bei Verfahren ausgeschlossen werden, z.B. bei Jugendstrafverfahren (Art. 29 Abs. 1 des Gesetzes der Jugendgerichtsbarkeit). Auch im **deutschen Strafprozessrecht** ist der Öffentlichkeitsgrundsatz eine Prozessmaxime. Er folgt sowohl aus dem Rechtsstaatsprinzip (Art. 20 Abs. 3 GG) als auch aus Art. 6 Abs. 1 EMRK und ist in § 169 GVG einfachgesetzlich verankert. Danach ist die Verhandlung vor einem erkennenden Gericht einschließlich der Verkündung der Urteile und Beschlüsse öffentlich (§ 169 Abs. 1 S. 1 GVG). Anders als in **Georgien** sind Ton-, Fernseh- und Filmaufnahmen grundsätzlich unzulässig (§ 169 Abs. 1 S. 2 GVG). Die Tonübertragung in einen Arbeitsraum kann für Personen, die für Presse, Hörfunk, Fernsehen oder für andere Medien berichten, zugelassen werden (§ 169 Abs. 1 S. 3 GVG). Weiter können bei Verfahren von herausragender zeitgeschichtlicher Bedeutung Tonaufnahmen zu wissenschaftlichen und historischen Zwecken zugelassen werden, die nach Abschluss des Verfahrens dem zuständigen Archiv anzubieten und, wenn sie nicht angenommen werden, zu löschen sind (§ 169 Abs. 2 S. 1, 4 und 5 GVG). Darüber hinaus können die Senate des Bundesgerichtshofs in besonderen Fällen für die Verkündung ihrer Entscheidungen Ton-, Fernseh- und Filmaufnahmen zulassen (§ 169 Abs. 3 S. 1 GVG). Eine Übertragung bzw. Aufnahme ist in allen Fällen stets aber nur dann zulässig, wenn schutzwürdige Interessen der Beteiligten oder Dritter oder Verfahrensabläufe nicht entgegenstehen (§ 169 Abs. 1 S. 4, Abs. 2 S. 2, Abs. 3 S. 2 GVG). Im Übrigen kann die Öffentlichkeit ausgeschlossen werden, etwa wenn es um die Unterbringung in einem psychiatrischen Krankenhaus geht (§ 171a GVG), bestimmte Umstände aus dem persönlichen Lebensbereich zur Sprache kommen (§ 171b Abs. 1 GVG) oder z.B. in Verfahren wegen Straftaten gegen die sexuelle Selbstbestimmung (§ 171b Abs. 2 GVG). Insgesamt wird der Öffentlichkeitsgrundsatz im **deutschen Recht** erheblich restriktiver verstanden. (Mwa/Kmt)

საჯაროობის პრინციპი

საჯაროობის პრინციპი საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის პრინციპია. სასამართლო სხდომა საჯაროდ უნდა გაიმართოს და სასამართლოს გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა გამოცხადდეს (საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ქსსსკ-ის მე-10 მუხლის 1-ელი ნაწილი, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

ორგანული კანონის მე-13 მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილები). საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 13¹-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გადაცემა დასაშვებია. სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირსაც კი აქვს უფლება, სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერი გააკეთოს სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. განსაკუთრებულ გარემოებებში, საზოგადოების დასწრება პროცესზე შეიძლება გამოირიცხოს, მაგ., არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვისას (საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 29-ე მუხლის 1-ელი ნაწილი). საჯაროობის პრინციპი ასევე პრინციპი **გერმანიის სისხლის სამართლის** პროცესის პროცედურული მაქსიმია. ის გამომდინარეობს როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან (გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილი), ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილიდან და ასევე გათვალისწინებულია ჩვეულებრივი კანონით, გერმანიის სასამართლოების შესახებ კანონის 169-ე პარაგრაფში. შესაბამისად, მოსმენა საქმის განმხილველ სასამართლოზე, მათ შორის განაჩენის და გადაწყვეტილების გამოცხადება, საჯაროა (გერმანიის სასამართლოების შესახებ კანონის 169-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის 1-ელი წინადადება). **საქართველოსაგან** განსხვავებით, ხმის, სატელევიზიო და ფილმის ჩაწერა, როგორც წესი, დაუშვებელია (გერმანიის სასამართლოების შესახებ კანონის 169-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის მე-2 წინადადება). ხმის გადაცემა სამუშაო სივრცეში შესაძლებელია დაშვებულ იქნას იმ პირობისათვის, რომლებიც პროცესს აშუქებენ პრესაში, რადიოში, ტელევიზიასა და სხვა მედიაში (გერმანიის სასამართლოების შესახებ კანონის 169-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის მე-3 წინადადება). გარდა ამისა, გამორჩეული ისტორიული მნიშვნელობის საქმისწარმოებაში, შეიძლება დაშვებულ იქნას ხმოვანი ჩანაწერი სამეცნიერო და ისტორიული მიზნებისათვის, რომელიც საქმის დასასრულს პასუხისმგებელ არქივს უნდა იყოს შესთავაზონ და მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უნდა წაიშალოს (გერმანიის სასამართლოების შესახებ კანონის 169-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ელი, მე-4 და მე-5 წინადადებები). გარდა ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ფედერალური სასამართლოს პალატებს შეუძლიათ თავიანთი გადაწყვეტილების გამოცხადებისას დაუშვან ხმოვანი, სატელევიზიო და ფილმის ჩანაწერები (გერმანიის სასამართლოების შესახებ კანონის 169-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ელი წინადადება). გადაცემა ან ჩანაწერი ყველა შემთხვევაში მარტო მაშინაა დასაშვები, თუ ამას მონაწილეთა ან მესამე მხარის ლეგიტიმური ინტერესები ან პროცედურული პროცესები არ ეწინააღმდეგება (გერმანიის სასამართლოების შესახებ კანონის 169-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის მე-4 წინადადება, მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება, მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება). გარდა ამისა, საზოგადოების დასწრება პროცესზე შეიძლება გამოირიცხოს, მაგ., როდესაც საქმე ეხება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას (გერმანიის სასამართლოების შესახებ კანონის 171a-ე პარაგრაფი), განიხილება გარკვეული

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar
გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

გარემოებები პირადი ცხოვრებიდან (გერმანიის სასამართლოების შესახებ კანონის 171b-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი), ანდა მაგ., სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეზე (გერმანიის სასამართლოების შესახებ კანონის 171b-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი). საერთო ჯამში, საჯაროობის პრინციპი გერმანიის კანონმდებლობაში ბევრად უფრო შეზღუდულადაა გაგებული. (Mwa/Kmt)